

ბორის ჭიჭინაძე

სოხუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის პუმანიტარულ-ეკონომიკური  
უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

## საქართველოში საბაზასახადო ბარემოს გაშმაღლების საპითხისათვის

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართულმა ეროვნულმა ეკონომიკამ ფუნქციონირება ფაქტიურად 1992 წლიდან დაიწყო, რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოგეწვენოთ ამ 20 წლის განმავლობაში მრავალი ათეული ე.წ. „უცხოელი „ექსპერტი“ მოძღვრავდა, შესაბამის რჩევებს და რეკომენდაციებს აძლევდა ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირებს ეკონომიკური აღმავლობის საქმეში, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყნის ეკონომიკა არა თუ უმჯობესდებოდა არამედ კიდევ უფრო სცილდებოდა ევროპული განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას. წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების ძებნა ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა და ხელოვნურად ცდილობდნენ უცხოელი ე.წ. „კეთილისმყოფელი“ მათი ქვეყნების გამოცდილების ჩვენს ეკონომიკაში ადაპტირებას. ამ უცხოელ „კეთილისმყოფელებ“-ის შენახვაზე საქართველოს ბიუჯეტიდან მრავალი მილიონი დოლარია დახარჯული, რაც დღესაც მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს. მაშ რა არის მიზეზი იმისა, რომ მიუხედავად მრავალი უცხოელი „ექსპერტ“-ის რჩევისა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მაინც ვერ უმჯობესდებოდა? პირველ რიგში უცხოური გამოცდილების გაზიარებისას საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დრმა ანალიზი და შემდეგ იმ მიღწევების გაზიარება, რომელმა მიღწევებმაც გამოიწვია უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა. ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება თუ მას არა აქვს ნორმალური და ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საბაჟო, საგადასახადო და გადასახადებთან მიმართებაში არსებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. 1992 წლიდან მოყოლებული არცერთი უცხოელი „კეთილისმყოფელი“, უცხოური გამოცდილების საქართველოში გადმოტანისას არ ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ თავისებურებებს და ხელოვნურად გვახვევდა თავზე (ამას ხშირად იმდროინდელი ხელმძღვანელი პირებიც უწყობდა ხელს) მათი ქვეყნის გამოცდილებას. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ისინი

გვკარნახობდნენ და ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოც ამტკიცებდა ისეთ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებს, რომელთა წაკითხვაც არა თუ ბიზნესმენს, არამედ თვით ამ კანონების მიმღებ პირებსაც უჭირდათ. ამის ნათელი მაგალითია 1997 წლის ივნისში პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული პირველი საგადასახადო კოდექსი და იმ დროს თუ პარლამენტარებს შეეკითხებოდით---თუ რატომ იქნა მიღებული აღნიშნული კოდექსი მხოლოდ უცხოელების რეკომენდაციით და რატომ არ იქნა გათვალისწინებული ქართველი მეცნიერების გამოცდილებაო, ისინი გპასუხობდნენ---უცხოელებს მეტი გამოცდილება აქვთ და აბა ვის უნდა ვენდოთ? სწორედ ასეთმა არაპროფესიონალურმა და ხშირ შემთხვევაში გააზრებულად ცუდად გადადგმულმა ნაბიჯებმა ქვეყანა უდიდეს გალებში (საშინაო და საგარეო) ჩააგდო, რომლის შედეგებსაც ეხლა ვიმკით. სწორედ 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია. რადგანაც იმდროინდელი საგადასახადო კოდექსით ფაქტიურად შეუძლებელი იყო ბიზნესის ნორმალურად წარმოება და კუთვნილი გადასახადების გადახდა, ხოლო თუ რომელიმე მეწარმე ეცდებოდა გადაეხადა საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული გადასახადები ის აუცილებლად გაკოტრდებოდა, რაც საერთო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურ განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებდა. ეხლა აქ არ დავიწყებ პირველი საგადასახადო კოდექსის უარყოფით მხარეებზე საუბარს, ვიზუვი მხოლოდ ერთს, რომ 1997 წლის ივნისში მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა ვერ მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღება და ჩვენი ეკონომიკა კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა უცხოური ქვეყნების დახმარებებზე.

ყველა უცხოური ქვეყნის მთავრობები ცდილობენ იქონიონ გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში, აიძულონ იმ ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტიანი სესხები, მოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და ამ ქვეყნებს უცხოეთის განვითარებული ქვეყნების სამომხმარებლო ბაზრად აქცევს. სწორედ ასეთ ფაქტს ჰქონდა აღვილი ჩვენთან 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსის შემდეგ, რამაც საერთო ჯამში საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ 2005 წლის იანვრიდან შემოღებული იქნა ახალი საგადასახადო კოდექსი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა გადასახადების რაოდენობა და დღეის მდგომარეობით ქვეყანაში 5 საერთო-სახელმწიფოებრივი

(საშემოსავლო, მოგება, დღბ, საბაჟო, აქციზი) და ერთი ადგილობრივი (ქონება) გადასახადი მოქმედებს. აღნიშნული ცვლილებები უდავოდ წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საჭიროა მოხდეს იმის შესწავლა თუ რამდენად პოზიტიურად მოქმედებს ახალი საგადასახადო კოდექსი ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე. ყველა ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში მკაფიოდაა განსაზღვრული გადასახადის გადამხდელების უფლებებისა და მოვალეობის შესახებ, ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამორიცხულია საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მუხლების ორმაგი აღქმა და სხავადასხვანაირი ინტერპრეტირება. ჩვენთან კი ამ მხრივ საქმე რთულადაა. ხშირ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურებიც სხვადასხვანაირ განმარტებებს იძლევიან ამა თუ იმ მუხლის შესახებ, რაც ამ სფეროში გაუგებობას და მეწარმეების დაბნევას იწვევს, ეს დასტურდება საგადასახადო კოდექსის №47-ე მუხლით, რომლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს გადაუგზვნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას პირის მიერ შესრულებული ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციისას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ. აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან სჩანს, რომ განხილულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ცუდ დღეში ვარდება და კანონიც არ იძლევა იმის განმარტებას თუ ვის უნდა მიმართოს საკითხის საბოლოოდ გასარკვევად გადასახადის გადამხდელმა. აღნიშნული მუხლი მეტად ბუნდოვანია და საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან საჭიროებს სასწრაფოდ დარგიულირებას, რათა აღნიშნული მუხლის ბუნდოვანებამ კიდევ არ გაართულოს ქვეყნის ბიზნეს-გარემო და უცხოური ინვენტიციების შემოდინება არ შეაფერხოს. უცხოეთში კი საქმე ამ მხრივ სხვანაირადაა, თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა ამ შემთხვევაში მკაცრად განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების ვალდებულებებს და საგადასახადო ორგანოს წერილს გადასახადის გადამხდელისადმი აქვს იურიდიული ძალა. (ლოგიკურად რომ ვიმსჯელოლოთ სხვანაირად არც შეიძლება).

კიდევ უფრო რთულად დგას საქმე საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის გამოყენებისას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელის მიერ მომხმარებელთან ნალი ანგარიშსწორების განხორციელებას საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკის გაუცემლობის შემთხვევას. იმ შემთხვევაში თუ გადასახადის გადამხდელი ნალი გადასახადის გადამხდელისადმი აქვს იურიდიული ძალა.

ანგარიჩსწორების განხორციელებისას ჩეკს არ გამოუწერს მომხმარებელს, მაშინ ის პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში 1500 ლარის ოდენობით და ყოველი შემდგომი განმეორებისას 2500 ლარის ოდენობით. აღნიშნული მუხლი ფაქტიურად ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიებს, იმ ქარტიებს რომლებსაც მიერთებულია საქართველო და შესაბამისი რატიფიცირებაც განხორციელებულია პარლამენტის მიერ, კერძოდ; აღნიშნული მუხლი დისკრიმინაციულია და არღვევს გადასახადის გადამხდელთა მთავარ უფლებას----ჰქონდეთ მათ ბიზნესის კეთების საშუალება. აღნიშნული მუხლი გაუგებარი და ბუნდოვანია, მაშინ როცა მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურში ჯერაც 150 ლარია, ხოლო კერძო სექტორში კი 20 ლარი, საიდან იქნა აღებული ჯარიმის ეს ოდენობები? ასევე გასარკვევია თუ საიდან შემოაქვთ საქართველოში საკონტროლო-სალარო აპარატები და რა ღირს ის მომწოდებულ ქვეყნებში? და ღირს აღნიშნული აპარატები ჩვენს მეზობელ ქვეყნებში(სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი) ხომ არ აქვს ადგილი სალარო აპარატების იმპორტით დაკავებული პირების მიერ ფასების ხელოვნურ ზრდას და შემომტანების მიერ მათზე კარტერული ფასების დაწესებას? საკითხი მეტად აქტუალურია სასწრაფოდ საჭიროებს მთავრობის ჩარევას, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ გაკოტრებულ მეწარმეებს და გაზრდილ საბიუჯეტო დავალიანებებს, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას გამოიწვევს და ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის უცხოურ დახმარებებზე. შედარებისთვის მოვიყვან ევროპის ერთ-ერთი განვითარებული ქვეყნის ავსტრიის მაგალითს. ავსტრიაში მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურებში შეაღგენს 1800 ევროს, თუ ჩვენთან არსებულ დაჯარიმების მეთოდს პროპორციულად გამოვიყენებთ ავსტრიელი მცირე მეწარმის შემთხვევაში მაშინ ის ჩეკის გაუცემლობისას პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 5400 ევროთი (3X1800), ხოლო განმეორების შემთხვევაში 18000 ევროთი (10X1800) ხოლო მესამედ განმეორების შემთხვევაში 29880 ევროთი (16.66X1800). ეკონომიკაში ჩახედული პირი დამერწმუნება, რომ ამდენი ოდენობის ჯარიმა, რომ ავსტრიელ მეწარმეს დააკისრო თუ რას მოიმოქმედებენ ავსტრიელი მეწარმეები. ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაირკვეს თუ საიდან არის აღებული ჯარიმის ოდენობები და ხომ არ ეწინააღმდეგება ის საერთაშორისოდ აღიარებული თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს. აქვე უნდა ავღნიშნოთ საგადასახადო კოდექსის 280<sup>1</sup> მუხლის შესახებაც, აღნიშნული მუხლი არეგულირებს ახლადდარეგისტრირებული მეწარმეებისათვის საგადასახადო სესხის გაცემას. როგორც საქართველოში

ჩატარებულმა სტატისტიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული საგადასახადო სესხით ფაქტიურად მეწარმეების ძალიან უმნიშვნელო ნაწილმა ისარგებლა, მაშინ როცა მსურველები ბევრი იყვნენ. აღნიშნული გამოწვეული იყო ხშირ შემთხვევაში მუხლის არაორაზროვანი გამარტებით, აქედან გამომდინარე მუხლი მკვდრადშობილად შეიძლება ჩათვალოს, საჭიროა მასში ცვლილბის შეტანა ან საერთოდ გაუქმება, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ფაქტიურად არ არსებობს ფინანსთა მინისტრის ბრძანება საგადასახადო სესხით სარგებლობასთან დაკავშირებით.

ზემოდაღნიშნული საკითხის მოგვარებას ართულებს ასევე ის, რომ დღეისათვის არ არსებობს კანონი, რომელიც მოახდენდა ბიზნესით დაკავებული პირების დიფერენცირებას---- მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით ყველა მეწარმე მიუხედავად მათი წლიური ერთობლივი შემოსავლისა ერთნაირ დაბეგვრის რეჟიმში არიან მოქცეულნი. (უცხოეთში კი მეწარმეები სხვადასხვანაირი წესით იბეგრებიან მათი წლიური შემოსავლიდან გამომდინარე) თუ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მოთხოვნებს გამოვიყენებო მაღალმთიანი რეგიონის რომელიმე სოფელში არსებული წისქვილის ან ჯიხურის შემთხვევაში, მაშინ ჯარიმის ოდენობა (500 ლარი, 1500 ლარი, 2500 ლარი) ამ პირებისათვის იქნება დამდუპველი და დაჯარიმება გამოიწვევს მათი საქმიანობის პარალიზირებას, მაშინ როცა აღნიშნული ჯარიმის ოდენობა ქობილისში არსებული „მაკდონალდსისთვის“, „კოკა-კოლასთვის“ ან სხვა მსხვილი ბიზნესით დაკავებული პირებისათვის შეიძლება სულაც არ იყოს ტრაგედია. საჭიროა ამ კუთხით საკითხის ღრმად მეცნიერულად შესწავლა და ისეთი კანონის მიღება, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული და ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე იქნება ორიენტირებული. ასეთი გაუაზრებელი და არაეფექტური ჯარიმების შედეგად მეწარმე პირებს უგროვდებად საბიუჯეტო დავალიანება, რაც საერთო ჯამში ბიზნეს-გარემოს გაუარესებას იწვეს, რის შემდეგადაც სახელმწიფო ზარალდება, რაღანაც ამოუდებელი გადასახადების გამო საფრთხე ექმნება ქვეყნის ფინანსურ უშიშროებას.

ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობები ზოგჯერ მიმართავს საბიუჯეტო დავალიანებების ჩამოწერის ანუ პატიების ხერხს, აღნიშნული ცნობილია საგადასახადო ამინისტრის სახელით. საგადასახადო ამინისტრია საყოველთაო ხასიათს ატარებს და მისი გამოცხადება ძირითადად ხდება მწვავე საბიუჯეტო კრიზისის, ეკონომიკური და საბანკო კრიზისის, საომარი მოვლენების შემდეგ. ამინისტრის ძირითადი მიზანია, რომ ამ სიკეთით ისარგებლოს ყველა მეწარმე (მცირე, საშუალო, მსხვილი) მიუხედავად

მათი საბიუჯეტო დავალიანების სიდიდისა, რადგანაც რომელიმე მაღალმთიან სოფელში არსებული სავაჭრო ჯიხურისათვის ან წისქვილისათვის, რომელთა თვის ბრუნვა შეადგენს 200 ლარს, 200 ლარიანი საბიუჯეტო დავალიანება წარმოადგენს დიდ თანხას, მაშინ როცა ქ.თბილისში ან ქ.ქუთაისში არსებული მსხვილი მეწარმისათვის, რომლის თვის ბრუნვა აჭარბებს მილიონ ლარს 20000 ლარიანი დავალიანებაც შეიძლება არ წარმოადგენდეს დიდ ტრაგედიას, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ღრმა შესწავლას და შესაბამისი ზომების მიღებას. არც წინა და არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არ მომხდარა ტოტალური საგადასახადო ამინისტიის გამოცხადება, მაშინ როცა ამის მიღება მართლაც წარმოადგენდა აუცილებლობას, რადგანაც 1997 წელს მიღებული ცედი საგადასახადო კოდექსის შედეგად მნიშვნელოვნად დაზარალდნენ და შესაბამისად საბიუჯეტო დავალიანებებიც დაუგროვდათ მეწარმეებს. 2005 წლიდან მიღებული იქნა კანონი „ ამინისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლაგალიზაციის შესახებ“, რომელმაც ფაქტიურად 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად დაზარებულ მეწარმეებს ვერანაირი შვება ვერ მოგვარა, უფრო მეტიც აღნიშნული კანონის მიღებით დაზარალდნენ ის მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც იმდროინდელი საგადასახადაო კოდექსის შედეგად პატიოსნად ახდენდნენ საბიუჯეტო გადასახადების დეკლარირებას, მაგრამ კოდექსის უნიათობიდან გამომდინარე სრულად ვერ იხდიდნენ გადასახადებს. ამინისტია შეეხო მხოლოდ იმ მეწარმეებს (თუ ამას შეიძლება მეწარმეები დაერქვას), რომლებიც საერთოდ არ აღგენდნენ არანაირ დეკლარაციებს და გაანგარიშებებს საგადასახადო ორგანოებში. გამომდინარე აქედან ეს კანონი ვერ ჩაითვლება ამინისტიად და მისი მიღებით მცირე მეწარმეების ფართო ფენებმა ვერანაირი სიკეთე ვერ იგრძვნეს.

ამინისტიის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“, აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია ის კატეგორია მეწარმეებისა, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეთანხმებით. კერძოდ: საგადასახადო შეთანხმებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ მეწარმეებმა, რომელთა საგადასახადო ვალდებულებების ჯამური ოდენობა აღემატება 10000 ლარს და არ არის აღიარებული გადამხდელის მიერ. იმ შემთხვევაში თუ გადამხდელს გააჩნია აღნიშნული რაოდენობის საბიუჯეტო დავალიანება მას უფლება აქვს წერილობით მიმართოს შემოსავლების სამსახურს და რაოდენ გასაპირიც არ უნდა იყოს გადამხდელმა უნდა შესთავაზოს შემოსავლების სამსახურს იმ თანხის ოდენობის შესახებ, რომლის გადახდასაც მეწარმე შეძლებს, ამის შემდეგ შემოსავლების სამსახური გადამხდელის

წერილს გადაუგზავნის ფინანსთა სამინისტროს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მიმართავს საქართველოს მთავრობას გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობა იდებს გადაწყვეტილებას გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ან არგაფორმების შესახებ. თუ მთავრობა თანახმაა საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, ამ შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფეხამოსილია და არა ვალდებული, გადამხდელს გაუფორმოს საგადასახადო შეთანხმების აქტი, იმედია მთავრობის ეს დადგენილება დაღებითად იმოქმედებს მეწარმე-სუბიექტებზე და მათი საბიუჯეტო დაგალიანებების შემცირებას გამოიწვევს.

ხშირად არაპროფესიონალურად მიღებული კანონები იწვევს საბიუჯეტო დაგალიანების ზრდას (განსაკუთრებით 2004 წლამდე, წინა მთავრობის მიერ მიღებულმა კანონებმა გაართულა ეკონომიკური მდგომარეობა) რაც საერთო ჯამში ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებას იწვევს. გამომდინარე აქედან კი საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას (უცხოური ვალის კუთხით) ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის საგარე ვალის ზრდა, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით შეადგენს 3 521 775 000 აშშ დოლარს (3 მილიარდ 521 მილიონ, 775 ათასი დოლარი), ეს მაჩვენებელი 2009 წლის 31 მარტისთვის შეადგენდა 2 812 743 000 აშშ დოლარს (2 მილიარდ 812 მილიონ 743 ათასი დოლარი), როგორც ვხედავთ წინა წელთან შედარებით ქვეყნის საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თუ ამ ტემპით წავიდა ვალის ზრდა, მაშინ უახლოეს წლებში ქვეყნის ეკონომიკას ძალიან გაუჭირდება, იმედია მთავრობა ყველა ღონეს იხმარს საგარეო ვალის შემცირებისათვის. თუ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტატისტიკით ვიმსჯელებთ, საგარეო ვალის გასტუმრებას იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს (დღეისათვის 180 მილიონი ლარი) გადაგიხდით დაჭირდება 30 წელი, ისიც იმ შემთხვევაში თუ დღეისათვის არსებული საგარეო ვალი კვლავ არ გაიზრდება. აღნიშნული სტატისტიკა მეტად საგანგაშოა და სასწრაფოდ ზომების მიღებას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებ გამოუსწორებელი შედეგები მივიღოთ. საგარეო ვალის შემცირების ერთ-ერთი წინაპირობაა სამუშაო ადგილების შექმნა და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმოება.

როგორც ზემოდ ავღნიშნე 1992 წლიდან საქართველო, თავისი ეროვნული ეკონომიკის „ასაღორძინებლად“ ჩამოსული უცხოური სტუმრების ნაკლებობას არ განიცდიდა.

უცხოელი „ექსპერტებ“-ის სტუმრობის მიზეზი ხშირად ქართული ეროვნული ეკონომიკის დაკნინება იყო. წიგნის „ეკონომიკური მკვლელის“ ავტორის ამერიკელი ჯონ პერკინსის მიხედვით ავსტრიელი ეკონომისტი ალბერტ ებერი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიას ხელმძღვანელობდა 1992 წლიდან ბელგიაში, რუმინეთსა და უკრაინაში, ვერანაირ ეკონომიკური წინსვლის განხორციელებას ვერ უზრუნველყოფდა იმ ქვეყნებში. სერბი ეკონომისტის დეან მიროვიჩის დაკვირვებით „არც სავალუტო ფონდსა და არც ალბერტ ებერს არანაირად არ შეიძლება ვანდოთ ეკონომიკა“. აღსანიშნავია ის, რომ ავსტრიელი ეკონომისტის ალბერტ ებერის საქმიანობა უკრაინაში, რომელიც ხორციელდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაიდით, დამთავრდა იმით, რომ მის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად (რეფორმებს ბომად უჭერდა მხარს უკრაინის მთავრობა) 2010 წლის 1 იანვრისათვის უკრაინის საგარეო ვალმა შეადგინა თითქმის 85 მილიარდი ლოდარი, ასევე ვალებში ჩავარდენ ბელგია, რუმინეთი და სხა ევროპული ქვეყნები, აქედან შეიძლება გაპეტდეს ერთადერთი დასკვნა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებაზე ჩვენ თვითონ უნდა ვიფიქროთ (ამის შესახებ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამბობდა დიდი ილია ჭავჭავაძე), თორემ უცხოელი ე.წ.„ექსპერტები“ საქართველოში საგარეო ვალის ზრდას შეუწყობენ ხელს, რაც საერთო ჯამში დამტკიცებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას.

როგორც ავღნიშნე ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამართულ საგადასახადო და საბაჟო კოდექსს. სწორედ ამ კანონებმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და ყველა გადამხდელის ერთნაირ პირობებში ჩაყენება. (საგადასახადო კოდექსით დაუშვებელია გადამხდელის მიმართ ინდივიდუალური შედავათების დაწესება, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს აკრძალვა ჩვენთან ირღვევა). მიუხედავად ამისა ხშირ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელები არათანაბარ პირობებში არიან, რაც სხვადასხვა საქონელზე კარტერული ფასების დაწესება იწვევს, რომელიც მძიმე ტკირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას. კარტერული ფასების დაწესებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ნავთობპროდუქტების, კომუნიკაციების და სააფთიაქო სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი კომისიები, რომლებსაც ეგალიერათ ბაზარზე წესრიგის დამყარება, მდგომარეობა მაინც კრიტიკულია და მთავრობის მხრიდან სახწაფოდ ჩარევას საჭიროებს, რათა არ მივიღოთ გამოუსწორებელი შედეგები.

მე ლრმად მწამს, რომ მთავრობის მიერ მიღებული იქნება ისეთი საბაჟო და საგადასახადო კანონები, ასევე სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას, ხელს შეუწყობს უცხოური ინგენიერიულის მოზიდვას და საქართველოს ეკონომიკას კიდევ უფრო ძლიერს გახდის.